გაᲜათᲚეᲑის ხარისხის გაᲜვითარეᲑის ეროვᲜუᲚი ცეᲜტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს დამოუკიდებელი სკოლა ,,მოძღვარი,,

შეფასების თარიღ(ებ)ი: 27 და 28 ოქტომბერი, 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 15 ნოემბერი, 2022წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს დამოუკიდებელ სკოლა ,,მოძღვარი,, |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 208156261 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ილია ბაბუციძის ქუჩა N12 |
| ფაქტობრივი მისამართი | ილია ბაბუციძის ქუჩა N12 |
| საფოსტო ინდექსი | 0137 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://modzgvari.edupage.org/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | skolamodzgvari@yahoo.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | (+995 32) 2 704 734; (+995) 595 704 634 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | მანანა გაბათაშვილი |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | (+995) 599 55 93 42 |
| ელ-ფოსტა | mananagabatashvili1@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2022 წლის 30 სექტემბრის ბრძანება MES 2 22 0001193595 - ,, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს დამოუკიდებელ სკოლა ,,მოძღვარში,, ვიზიტის შესახებ “. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 27 და 28 ოქტომბერი, 2022წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ლელა ჯაში |
| წევრი (სახელი, გვარი) | მარინე ჯანაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)** | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | .............. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | .............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | ............... |
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის“ მისიაა აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო<br>ღირებულებების მქონე პიროვნება, რომელიც მზად იქნება 21-ე საუკუნის გამოწვევების წინაშე;<br>✓ მოსწავლე, რომელიც იქნება წიგნიერი და მოაზროვნე, შემოქმედებითი, მიზანდასახული და<br>კონკურენტუნარიანი;<br>✓ მოსწავლე, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერებით;<br>✓ მოსწავლე, რომელმაც იცის კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა; ოჯახის, საზოგადოების,<br>სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე გაცნობიერებული აქვს თავისი უფლება-მოვალეობები.<br>სკოლის უმთავრესი მისიაა უწყვეტი ზრუნვა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე, მათთვის ისეთი<br>წინაპირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მომავალი განვითარების გზის სწორად არჩევაში.<br>ამ მისიის მისაღწევად სკოლაში სწავლა-სწავლება დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: 250 | ექსპერტი ეთანხმება ☐ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☒ | შპს დამოუკიდებელ სკოლა ,,მოძღვარში,, ვიზიტის დროს, ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი იმისთვის, რომ მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განისაზღვროს <u>**300 (სამასი)**</u> ერთეულით. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის კორესპონდენციაც (4/160, 31.10.2022წ., ადრესატი: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი), რომლის თანახმად, დაწესებულება გამოთქვამს მზადყოფნას, უსაფრთხო და ეფექტური სასწავლო პროცესი შესთავაზოს მოსწავლეთა ზემოაღნიშნულ რაოდენობას. |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოძღვარი“ (შემდგომში სკოლა/დაწესებულება) სასკოლო სასწავლო გეგმა განხილული და დამტკიცებული იქნა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე N1, 08.09.2022წ.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:<br>✓ სკოლის მისია;<br>✓ სასწავლო წლის კალენდარი;<br>✓ დღის რეჟიმი;<br>✓ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);<br>✓ სასკოლო საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა;<br>✓ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;<br>✓ საგნობრივი კათედრები;<br>✓ სადამრიგებლო პროგრამა;<br>✓ ინკლუზიური განათლება;<br>✓ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>**სასწავლო წლის კალენდარი, დღის რეჟიმი** - სასწავლო წლის კალენდარი სრულად შეესაბამება საჯარო სკოლებისათვის სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს, აგრეთვე, არდადეგების დროს და ხანგრძლივობას. რაც შეეხება გაკვეთილებს - I კლასებში გაკვეთილები 40 წუთიანია, ხოლო, II- XII კლასებში - 45 წუთიანი.<br>მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში განისაზღვრება - 20 +/- 2 მოსწავლით.<br>**მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები** - შეფასების ნაწილშიც, სკოლას სრულად იზიარებს ესგ-თი წარმოდგენილ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რეგულაციებს (შეფასებასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია განხილულ იქნება ქვესტანდარტში 1.4).<br>**სასკოლო საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალების რაოდენობა** - სასკოლო საათობრივ ბადეში სტანდარტული ბადისგან განსხვავებული, გარკვეული ცვლილებები ფიქსირდება. კერძოდ, გაზრდილია საათობრივი დატვირთვა უცხოურ ენებში - პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა) ისწავლება I კლასის I სემესტრიდან დაწყებით საფეხურზე, კვირეული საათობრივი დატვირთვით - 4 (ოთხი) საათი. მესამე კლასიდან, მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს რუსულ ენას (III-XII კლასებში 2 (ორი) საათი კვირეული დატვირთვით). V კლასიდან მოსწავლეები ეუფლებიან გერმანულ ენასაც (V-X კლასებში, 2 (ორი) საათი კვირეული დატვირთვით).<br>ჭადრაკი პირველ კლასში სავალდებულო საგნად არის განსაზღვრული, ხოლო II-V კლასებში, ფაკულტატური საგნის სტატუსი აქვს. გარდა ამისა, სკოლაში ისწავლება ,,რელიგია და კულტურა,, (III-VIII კლასები, 1 (ერთი) საათობრივი დატვირთვით კვირაში), რომელიც ასევე, დამატებით საგანს წარმოადგენს.<br>არჩევითი საგნებიდან სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ,,საქართველოს ეთნოგრაფიას“ და ,,მსოფლიო კულტურას“.<br>დაწესებულებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს 2022-2023 სასწავლო წლის საათობრივი ბადე (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობის წერილი ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს - MES 3 22 0001053843, 12/09/2022წ.)<br>სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად (N3) წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების მიხედვით. დოკუმენტი არეგულირებს შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესსაც.<br>**გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა** - კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით განსაზღვრავს სკოლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გამოყენებულ სახელმძღვანელოებს (სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N2).<br>**საგნობრივი კათედრები** - სკოლაში არის შვიდი საგნობრივი კათედრა: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა;<br>• მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ორი სხვადასხვა მათემატიკის, ისტ-ის და კომპიუტერული მეცნიერების მასწავლებლები;<br>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები;<br>• საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების, მოქალაქეობის/სამოქალაქო განათლების მასწავლებლები;<br>• უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა, მეორე უცხოური ენის (რუსულის) და მესამე უცხოური ენის (გერმანულის) მასწავლებლები;<br>• ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა, სპორტისა და მუსიკის მასწავლებლები;<br>• დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.<br>სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს კათედრის დებულება. დოკუმენტში წარმოდგენილია კათედრის წევრების შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორია მათი ფუნქციები და მოვალეობები. დებულება არეგულირებს თითოეული კათედრის პორტფოლიოს შემადგენლობას, რომელიც ვიზიტის პერიოდში შესწავლილ იქნა ექსპერტების მიერ და დოკუმენტში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, მოიცავს:<br>1. მასწავლებლის სტანდარტს;<br>2. კათედრის წევრთა შეხვედრების გრაფიკს;<br>3. კათედრის დებულებას;<br>4. შეფასების კომპონენტების ჩამონათვალს;<br>5. კათედრაში შემავალი საგნების მასწავლებელთა სამოქმედო გეგმებს; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 6. დაგეგმილი ღონისძიებების (ღია გაკვეთილი, პროექტის პრეზენტაცია, სხვა) გრაფიკს;<br>7.ინფორმაციას კათედრის წევრ მასწავლებელთა მიერ ორგანიზებული და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;<br>8.კათედრის მუშაობის ამსახველი ყველა სახის მასალას (ფოტო-, ვიდეო);<br>9. კათედრის შეხვედრის აღწერას (ავსებს თითოეული მასწავლებელი).<br>ექსპერტები გაეცნენ კათედრის წევრების შეხვედრის ოქმებსაც, რომლებიც ადასტურებენ, რომ კათედრები სკოლაში აქტიური და ქმედითი რგოლია.<br>**სადამრიგებლო პროგრამა -** მოიცავს მონაცემებს კლასის დამრიგებლის მოვალეობების შესახებ, დამრიგებლის სააღმზრდელო მუშაობის პრინციპებს, დამრიგებელთა ნუსხას კლასების მიხედვით. როგორც ირკვევა, სკოლამ ეროვნული სასწავლო გეგმის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდურ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეული კლასისთვის 2022-2023 სასწავლო წელს განსაზღვრა სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში კლასის საათების სარეკომენდაციო თემატიკა, რაც დეტალურად არის წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმაში.<br>**ინკლუზიური განათლება** - განხილულ იქნება ქვესტანდარტში 1.3<br>**ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა -** სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ესგ-თი გათვალისწინებულ დისციპლინებს, ასევე დამატებით საგნებს ფაკულტატურის სახეთ, რომლებიც განხილულ იქნა ზემოთ (სასკოლო-საათობრივი ბადე).<br>დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოაზროვნე“ სასკოლო-სასწავლო გეგმა სრულად იზიარებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო-სასწავლო გეგმა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის კორესპონდენცია სასკოლო ბადის შეთანხმების თაობაზე;<br>• კათედრის დებულება;<br>• კათედრის სხდომის ოქმები;<br>• საგნობრივი კათედრების პორტფოლიო;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელი სკოლა ,,მოძღვარი“, სავალდებულო დისციპლინებთან ერთად, მოსწავლეებს სთავაზობს დამატებითი მომსახურებას წრეების და კლუბების ფორმით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აღიჭურვონ ინტელექტით, განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნება და შემოქმედებითი უნარები, გაეცნოთ/დაეუფლონ მათთვის საინტერესო მიმართულებებსა თუ საკითხებს.<br>მაგალითად, კლუბის „თავისუფალი ფრთები“ ერთ-ერთი მიზანია, მოსწავლეებმა შეიძინონ მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები, ისწავლონ დამოუკიდებელი მუშაობა.<br>სახელოვნებო სტუდია (ქართული ცეკვა, სიმღერა, ხელმარჯვეობა) მოსწავლეთა შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას ემსახურება.<br>კინო კლუბის მიზანი - ქართული და მსოფლიო კინოხელოვნების გაცნობა, ფილმების ჩვენება/გააზრება და ა.შ.<br>დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სასწავლო პროგრამები და აღწერილობა დანართი N6 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.<br>აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობა სკოლის ქმედითი რგოლია. თვითმმართველობის თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი კლუბების |

| | |
|---|---|
| | საქმიანობას (მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მუხლი ,,5“); მიმდინარე სასწავლო წელს, თვითმმართველობის სხდომაზე (ოქმი N1, 07.10.2022წ.) განხილულ იქნა სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და სასკოლო კლუბების შექმნასთან დაკავშირებული საკითხები და გადაწყდა, რომ ჩატარდებოდა „ინტელექტუალური შეჯიბრი „რა, სად, როდის ?“; „საქველმოქმედო ღონისძიება სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად“, „ღონისძიება საქართველოს კუთხეები“.<br>გარდა ამისა, საბაზო და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის მიერ დაიგეგმა ლიტერატურული კლუბის და დებატების კლუბის ჩამოყალიბება.<br>ინტერვიუირებისას, სკოლის მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ სკოლის დირექცია ხელს უწყობს მათ თავიანთი იდეების რეალიზებაში და სწორედ სკოლის მხრიდან მხარდაჭერა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ საქმიანობას.<br>სკოლა „მომღვარი“ I-VI კლასის მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებასაც, რომლის მიზანია თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დისციპლინებში დავალების მომზადება პედაგოგთა დახმარებით, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა.<br>ინტერვიუირებისას მშობლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ეფექტურად მართავს მოსწავლეებში სწავლასთან დაკავშირებულ სიძნელეებს. მათ მოიყვანეს არაერთი კონკრეტული მაგალითი, რომელმაც ცხადყო, რომ მასწავლებლები რეალურ მხარდაჭერას უცხადებენ მოსწავლეებს.<br>2022-2023 სკოლაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. საქმეში წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებების ნიმუშები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;<br>• მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N1, 07.10.2022წ.;<br>• საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ნიმუშები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოძღვარი" სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. როგორც უკვე აღინიშნა, ამისთვის სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით მომსახურებას, აგრეთვე, კლუბურ და წრეობრივ მუშაობას.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის წარმოდგენილი ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრების და გაცდენების და სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლების შესახებ. ვიზიტის პერიოდში, სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N5 სახით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.<br>სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ ფსიქოლოგის მომსახურებითაც, რომელიც ეხმარება მათ სასწავლო პროცესში გარკვეულ სირთულეების დაძლევაში, ემოციებთან გამკლავებაში, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გზით გადაჭრაში და ა.შ.<br>ინტერვიუირებისას ირკვევა, რომ ფსიქოლოგი ხშირად სტუმრობს მოსწავლეებს კვირის განმავლობაში, საუბრობს მოსწავლეებთან მათთვის აქტუალურ და საჭირო თემებზე და გარკვეულ შემთხვევებში, აღნიშნულ კომუნიკაციას პრევენციული ხასიათი აქვს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ხელშეკრულება სკოლის ფსიქოლოგთან;<br>• სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 20 - ,,სკოლის ფსიქოლოგი“);<br>• ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. დოკუმენტის თანახმად, მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს აჩვენოს, თუ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და ა.შ.<br>როგორც ირკვევა, სკოლა ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.<br>სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:<br>• მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები);<br>• მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები);<br>• შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).<br>სასკოლო სასწავლო გეგმის დანართით (N4) წარმოდგენილია შეფასების რუბრიკების ზოგადი ნიმუშები. კერძოდ, ვხვდებით: პრეზენტაციის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეფასების რუბრიკას, შეფასების ზოგად რუბრიკას ზეპირი შემაჯამებელი დავალებებისათვის, შეფასების ზოგად რუბრიკას ტექსტური ამოცანისათვის (წერითი დავალება), პროექტის შეფასების განზოგადებულ რუბრიკას, რეფერატის შეფასების რუბრიკას, რუბრიკას, რომელიც ინფორმაციის მოძიების შეფასებას ახდენს და ა.შ.<br>სკოლა, ესგ-თი დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, ახორციელებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, რის საფუძველზეც იგეგმება შემდგომი ინტერვენციები. კერძოდ, დგება შემაჯამებელი სამუშაოს ანგარიში, სადაც კონკრეტული რეკომენდაციების წარმოდგენილი.<br>2022-2023 სასწავლო წლის შეფასების ნიმუშები და კრიტერიუმები განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზეც, რაც ზრდის მათ ხელმისაწვდომობის ხარისხს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• კომპლექსური დავალების ნიმუშები;<br>• შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები;<br>• სკოლის ვებ. გვერდი;<br>• ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება კლასის დამრიგებლების ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა. როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი დამრიგებლის დებულებიდან ირკვევა, იგი ვალდებულია რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ), მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. გარდა ამისა, სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა, მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით.<br>სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის წესი, რომლის მიზანია მასწავლებელმა, მშობელთან ერთიანი ძალისხმევით, ხელი შეუწყოს მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.<br>მშობლები ინტერვიუირებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლასთან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, რაც ხორციელდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურ შეხვედრებზე. კომუნიკაციის პროცესს ეფექტურს ხდის ელექტრონული ჟურნალი (EduPage), რომელიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• მშობელთან ურთიერთობის წესი;<br>• ელექტრონული ჟურნალის (EduPage) 2022-2023 სასწავლო წლის ლიცენზია (ხელშეკრულება N1213, 21.08.2022წ.);<br>• ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელი სკოლას ,,მოძღვარი“ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები“, რომლის მიზანია, უზრუნველყოს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხი.<br>როგორც ირკვევა, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას ხელმძღვანელობს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის ხარისხის მართვის მენეჯერი, კათედრის წარმომადგენლები.<br>ხარისხის განვითარების ჯგუფი ყოველი სემესტრის დაწყებამდე ადგენს კვლევის საჭიროებებს და შეიმუშავებს მიმდინარე სემესტრში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას. ტარდება მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა გამოკითხვა; ასევე, ხორციელდება დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მონაცემთა შეგროვების წყაროებია, აგრეთვე: სკოლის დოკუმენტაცია, ჯგუფური დისკუსია - შეხვედრები, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, რაც საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრება.<br>ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად განხორციელებული სამუშაო ჯამდება, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რაც წარედგინება სკოლის დირექტორს.<br>გარდა ამისა, სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტები და შემუშავებული მექანიზმები, რომელთა ზეგავლენა სკოლის განვითარებაზე დადებითად აისახება. თანდართულ მასალაში წარმოდგენილია სკოლის ხარისხის ჯგუფის დებულება, სამუშაო გეგმა, შეხვედრების ოქმები. ასევე, დირექტორის მოადგილეების სამუშაო გეგმები და ანგარიშები, სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები და ა.შ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოძღვარი“ ,,სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები;<br>• კითხვარები;<br>• სკოლის ხარისხის ჯგუფის დებულება, სამუშაო გეგმა, შეხვედრების ოქმი;<br>• სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები;<br>• დირექტორის მოადგილეების ანგარიშები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელი სკოლა ,,მოძღვარი“, საიდენტიფიკაციო კოდი 208156261, მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ილია ბაბუციძის ქუჩა N12.<br>აღნიშნულ მისამართზე მდებარე 4 (ოთხი) სართულიანი შენობა, სკოლას საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე (მხარეები: მეიჯარე - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და მოიჯარე - შპს დამოუკიდებელ სკოლა ,,მოძღვარი“), 10 წლის ვადით (ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 22.05.2014წ.- 22.05.2024წ.) გადაეცა. კერძოდ, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე 3 008.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, N2 და N3.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება - საბავშვო ბაღი ,,მოძღვარი“. ფართი გამიჯნულია და აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი ეზოს მხრიდან.<br><br>**შენიშვნა:** ამჟამად დატვირთულია სკოლის მხოლოდ 3 (სამი) სართული. შენობის მე-4 სართული (საერთო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფართი - 488, 54 კვ.მ.) არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისათვის, რადგან სარეაბილიტაციოა. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქალაქი თბილისი, ილია ზაბუციძის ქუჩა N12 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | 01.19. 33. 002. 068 |
| *კვ.მ.* | შენობა ნაგებობის - 3 003, 69 კვ.მ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • საჯარო რეესტრის ამონაწერი;<br>• საიჯარო ხელშეკრულება;<br>• სკოლის აზომვითი ნახაზი;<br>• შენობის ამსახველი ფოტომასალა;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ვიზუალური დათვალიერების და მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ, ერთადგილიანი მერხებით და სკამებით, დაფებით, მათ შორის, სკოლის საკუთრებაშია ინტერაქტიული ეკრანი, ,,სმარტ,, ეკრანი.<br><br>სულ საკლასო ოთახებში და კაბინეტებში განთავსებულია 226 (ორას ოცდაექვსი) მერხი და სკამი. გარდა ამისა, სკოლის სარდაფში და მე-4 სართულზე, დასაწყობებულია 157 (ასორმოცდაჩვიდნეტი) ერთული მერხი და სკამი.<br><br>დაწესებულების შენობა-ნაგებობაში, გარდა საკლასო ოთახებისა, განთავსებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია, ფსიქოლოგის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კაბინეტი, სამედიცინო კაბინეტი, მუსიკის კაბინეტი, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის განკუთვნილი მოსასვენებელი ფართი (ოთახი) და სხვა ძირითადი და დამხმარე სივრცეები.<br><br>სკოლის ეზოში არის ამფითეატრი, რომლის მოწყობის სამუშაოები ბოლომდე არ არის დასრულებული. სკოლის დირექციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ იგეგმება მისი გამოყენება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• შესაბამისი ფოტომასალა;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელ სკოლას ,,მოძღვარი“ აქვს როგორც შიდა სპორტული დარბაზი, ისე გარე მოედანი. კერძოდ, სკოლის შენობის მე-3 სართულზე განთავსებულია შიდა სპორტული მოედანი, სადაც მოწყობილია გოგონების და ვაჟების გასახდელები.<br><br>გარე სპორტული მოედანი სკოლის ეზოშია. იგი გარშემორტყმულია ღობით. მოედანს აქვს აუდიტორიისთვის განკუთვნილი სკამები.<br><br>სკოლას აქვს შესაბამისი ინვენტარი, რომელიც გამოიყენება სპორტული აქტივობების განხორციელებისას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სპორტული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ნათელი ოთახი (50,29 კვ.მ) ეთმობა ზუსტ და საბუნებისმეტყველო სწავლებისათვის განკუთვნილ ლაბორატორიას.<br><br>ლაბორატორიაში განთავსებულია გამწოვი, არის ონკანი. ოთახის ერთი კედელი ეთმობა კარადებს, რომლებშიც ინვენტარია განთავსებული. ქიმიური რეაქტივები არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისთვის და დაკეტილია.<br><br>სკოლაში მიმდინარეობს ლაბორატორიის შევსება ინვენტარით და ქიმიური რეაქტივებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• რეაქტივების შეძენის დამადასტურებელი ინვოისი.;<br>• ფოტომასალა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა საკლასო ოთახს ბუნებრივი განათება აქვს. გარდა ამისა, სკოლას მიეწოდება ელექტროენერგია.<br><br>ამ ეტაპზე, სკოლას ცენტრალური გათბობის სისტემა არ აქვს. თუმცა, საკლასო ოთახების კედლებზე და დერეფნებში დამონტაჟებული ელექტრო ღუმელები უზრუნველყოფენ შენობის გათბობას.<br><br>სკოლის სველი წერტილები უზრუნველყოფილია ცხელი წყლითაც, რაც ავზების საშუალებით მიეწოდება სკოლას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის სამივე სართულზე კეთილმოწყობილი სველი წერტილებია - პირველ სართულზე ერთი, ადაპტირებული სველი წერტილი. მეორე და მესამე სართულებზე ორ-ორი (გოგონებისთვის და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე). სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საგადახდო დავალებები). |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ბიბლიოთეკა შენობის მე-3 სართულზეა განთავსებული. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.<br>როგორც ხელშეკრულებიდან ირკვევა, ბიბლიოთეკარია ფუნქციებში, გარდა პირდაპირი მოვალეობებისა, შედის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სისტემატიურად წარადგინოს ინფორმაცია ახალმიღებული მხატვრული თუ მეთოდური ლიტერატურის შესახებ, ითანამშრომლოს საგნობრივ კათედრებთან და ა.შ.<br><br>სულ, სკოლის ბიბლიოთეკაში 3139 სახელმძღვანელოა, რომელიც აღრიცხულია კატალოგში (მათ შორის, ელექტრონულადაც).<br>სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოები და მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა დამუშავებულია სათანადო წესით.<br><br>სკოლას გამოწერილი აქვს პერიოდული გამოცემა „ახალი განათლება“. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ბიბლიოთეკართან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• ხელშეკრულება პერიოდული გამოცემის შეძენის თაობაზე.<br>• ინტერვიუ სკოლის ბიბლიოთეკართან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელ სკოლას ,,მოძღვარი" აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. კერძოდ, სკოლის შენობას ეზოს მხრიდან აქვს პანდუსი. პირველ სართულზეა განლაგებული ადაპტირებული სველი წერტილი.<br>რაც შეეხება შიდა გადაადგილებას, სკოლას აქვს დასამონტაჟებელი პანდუსები, რომლებიც ვიზიტის პერიოდში დასაწყობებული იყო სარდაფში, ვინაიდან, მოცემულ ეტაპზე, სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება.<br>• შიდა პანდუსების შესყიდვის (დამზადების) დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია (განთავსებულია სკოლის II სართულზე), სადაც 12 ერთეული პერსონალური კომპიუტერია. სულ, სკოლას 18 კომპიუტერი აქვს (3 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განთავსებულია სამასწავლებლოში, 1 - ბიბლიოთეკაში, 1 - ექიმის კაბინეტში, 1 - დაცვის ოთახში).<br><br>სკოლაში დამონტაჟებულია უსადენო ინტერნეტი (Wi-fi). დაწესებულების ინტერნეტ პროვაიდერია ს.ს. "გლობალ ერთი".<br><br>სკოლის ვებ-გვერდი https://modzgvari.edupage.org/ საკმაოდ ინფორმატიულია. გარდა სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტებისა და სხვა საჭირო მონაცემებისა, დიდი რაოდენობით წარმოდგენილია სკოლაში განხორციელებული აქტივობების ფოტომასალა. აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექტორსა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-11 მუხლი ითვალისწინებს თანხმობას სკოლის მიერ მოსწავლის ფოტო და ვიდეო გადაღების შესახებ და სხვა პერსონალური მონაცემების გამოყენების და დამუშავების საკითხს.<br>გარდა ამისა, სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები", რომლის მიზანია, განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა.<br>სკოლა აქტიურია სოციალურ ქსელშიც (https://www.facebook.com/skolamodzgvari2).<br>სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს ,,Edupage". |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ნასყიდობის ხელშეკრულება - სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის ,,EduPage" – ის 2022-2023 სასწავლო წლის ლიცენზია.<br>• ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები". |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმაში მითითებულ ადგილებში. სარდაფში არის სახანძრო დაფა, ინსტრუმენტებით. ცეცხლმაქრები დამუხტულია.<br>სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების წესი.<br>ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, სკოლის დირექტორს განსაზღვრული ჰყავს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი.<br>გარდა ამისა, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება სკოლის თანამშრომლებს სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, აგრეთვე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათი ამოქმედების წესის შესწავლის მიზნით.<br>სკოლის დოკუმენტაციის განხილვისას, ექსპერტები გაეცნენ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელ დოკუმენტაციასაც.<br>შპს დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის“ ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები,, (დოკუმენტი), აგრეთვე შეიცავს ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• სახანძრო უსაფრთხოების წესი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სკოლა „მოძღვარის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმაზე დატანილია მთავარი და სათადარიგო საევაკუაციო გასასვლელები, ცეცხლმაქრების განთავსების ადგილები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელ სკოლას ,,მოძღვარი“ შედგენილი აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სანიტარულ-ჰიგიენური საქმიანობის მექანიზმები. პროცედურა აღწერს დაწესებულების მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების პროცესს; ასევე, არეგულირებს სკოლის შენობაში სანიტარულ-ჰიგიენური საქმიანობების წარმართვის პროცედურებს.<br>სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომლის აღჭურვილობაც შესაბამისობაშია „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ, 21. 03.2022წ. განსაზღვრულ მოთხოვნებთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას ჰყავს ექთანი, რომელის ფუნქცია-მოვალეობები რეგულირდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის საფუძველზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და სანიტარულ-ჰიგიენური საქმიანობის მექანიზმები;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• სკოლის ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• სამედიცინო ინვენტარის და მედიკამენტების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.<br>• შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების “ შესაბამისად, შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის წერილი MES 2 22 0000862278, 01/08/2022წ.). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოძღვარი“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები;<br>• ისანი-სამგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის წერილი MES 2 22 0000862278, 01/08/2022წ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოკამერებით. კამერები დამონტაჟებულია შენობის დერეფნებსა და კიბის უჯრებში. ვიდეოკამერების მონიტორინგი ხორციელდება სკოლის შესაბამისი თანამშრომლის მიერ.<br>სულ სკოლაში დამონტაჟებულია 21 კამერა, აქედან 8 აკონტროლებს გარე პერიმეტრს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელ სკოლას ,,მოძღვარი“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აქვს იურდიული პირის წესდება და შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი. კერძოდ,<br>სკოლის წესდება წარმოადგენს ,,სამეწარმეო საზოგადოებების სტანდარტული წესდებების დამტკიცების შესახებ,, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების N791, 29/11/2021წ. პირველი პუნქტის, ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტანდარტულ წესდებას.<br>სკოლის შინაგანაწესი ვრცელი დოკუმენტია (35 გვერდი) და მისი მიზანია: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სკოლის საქმიანობის ხელშეწყობა, სკოლის მისიის შესრულება, სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა და ჩამოყალიბება;<br>• სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი და მისი თანამდევი ურთიერთობის მოწესრიგება და კონტროლი;<br>• სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;<br>• სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება და რაციონალური გამოყენება;<br>• სკოლაში სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება და კონტროლი.<br>შინაგანაწესის II თავი მთლიანად ეთმობა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს და მათ უფლება-მოვალეობებს. კერძოდ, სკოლის დირექტორის, ხარისხის მართვის მენეჯერის, დირექტორის მოადგილეების, ფინანსური და ტექნოლოგიების მენეჯერის, საქმეთა მწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, ექთნის, დიასახლისის, დამლაგებლის, დაცვის თანამშრომლის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, ფსიქოლოგის, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის და დისციპლინური საბჭოს ფუნქციებს.<br>შრომითი ურთიერთობების წარმოშობას და შეწყვეტას შინაგანაწესის III თავი არეგულირებს. კერძოდ, სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღებას და სამსახურებრივ შეთავსებას. როგორც ირკვევა, დასაქმებულს უფლება აქვს შეთავსებით ეკავოს სხვა თანამდებობა და ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს, თუ ამ სამუშაოს შესრულება ხელს არ შეუშლის სკოლაში დაკისრებული ვალდებულების შესრულებას. თუმცა, სხვა დამსაქმებელთან მუშაობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ საქმის კურსში ჩააყენოს სკოლის დირექტორი.<br>შინაგანაწესში დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია დასაქმებულის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ (VIII თავი).<br>მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი წარმოდგენილია XI თავში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დოკუმენტის დასკვნითი დებულება (მე-18 თავი) ავალდებულებს დასაქმებულს გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოძღვარი" წესდება;<br>• შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოძღვარი" შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელი სკოლის „მოძღვარი" 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 10 (ათი) მიმართულებას მოიცავს. კერძოდ,<br>• სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება;<br>• სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება;<br>• სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება;<br>• ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია;<br>• სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა;<br>• სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით;<br>• უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;<br>• მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში;<br>• მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;<br>• სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება.<br>სკოლის განვითრების ექვსწლიანი, სტრატეგიული გეგმა 2022-2028 სასწავლო წლებს მოიცავს. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები.<br>გეგმა მოიცავს ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ:<br>• სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;<br>• მისია;<br>• ხედვა;<br>• სტრატეგიული მიმართულებები, პრიორიტეტები;<br>• დროში გაწერილი განსახორციელებელი ღონისძიებები.<br>სკოლის განვითარების ექვსწლიან გეგმის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:<br>• პოზიტიური და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო;<br>• კვალიფიციური კადრები;<br>• ტექნოლოგიები, სწავლების თანამედროვე მეთოდები და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა;<br>• სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.<br>გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი - SWOT-ანალიზი, რომელიც აღწერს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე ის შესაძლებლობები და გამოწვევებს, რომლებიც დაწესებულების წინაშე დგას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოძღვარი“ ერთწლიანი გეგმა;<br>• შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოძღვარი“ ექვსწლიანი განვითარების გეგმა;<br>• შპს დამოუკიდებელი სკოლის ,,მოძღვარი“ - SWOT-ანალიზი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელი სკოლის „მოძღვარი“ ერთიანი საქმისწარმოების დებულება განსაზღვრავს საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე რეაგირების წესს.<br>დოკუმენტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე:<br>1. შემოსული დოკუმენტაცია;<br>2. გასული დოკუმენტაცია;<br>3. შიდა დოკუმენტაცია.<br>სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებიც სათანადოდ იყო წარმოებული (დანომრილი და ზონარგაყრილი, დამოწმებული სკოლის დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს დამოუკიდებელი სკოლის „მოძღვარი“ ერთიანი საქმისწარმოების დებულება;<br>• სარეგისტრაციო ჟურნალები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელ სკოლას „მოძღვარი“ ჰყავს სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია სათანადო კვალიფიკაციის 29 მასწავლებელი და 21 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. მათ შორის:<br>1. სკოლის დირექტორი 1;<br>2. დირექტორის მიადგილე სასწავლო დარგში 1;<br>3. დირექტორის მიადგილე აღმზრდელობით დარგში 1;<br>4. დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში 1;<br>5. ხარისხის მართვის მენეჯერი 1;<br>6. IT მენეჯერი 1;<br>7. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი 1;<br>8. ექთანი 1;<br>9. საქმისმწარმოებელი 1;<br>10. ფინანსური მენეჯერი/ბუღალტერი 1;<br>11. ბიბლიოთეკარი 1;<br>12. ფსიქოლოგი 1;<br>13. დამლაგებელი 1;<br>14. აღმზრდელი 4;<br>15. დიასახლისი 2;<br>16. დაცვა 2;<br>აღსანიშნავია, რომ ყველა თანამშრომლის საქმიანობა და ფუნქციები რეგულირდება შესაბამისი დებულებებით და ყველა მათგანი eSchool-ის ბაზაშია ასახული. სკოლაში არსებული ყველა დოკუმენტი ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ერთმანეთთან თანხვედრაშია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის საშტატო განრიგი;<br>• სკოლის მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა;<br>• თანამშრომელთა eSchool-ის ბაზა;<br>• სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br>• სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებები;<br>• დებულებები;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 29 |
| მოწვეული | 7 |
| უსტაჟო მასწავლებლი (2 წლიანი პირობითი ვადით) | 5 |
| უფროსი მასწავლებლი | 14 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მაძიებელი | 2 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული 29 მასწავლებლიდან წამყვანის სტატუსი აქვს 1 მასწავლებელს, უფროსის - 14 მასწავლებელს, მოწვეულია 7 მასწავლებელი შესაბამისი საათობრივი დატვირთვით, მაძიებლის სტატუსი აქვს 2 მასწავლებელს. აღსანიშნავია, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსები მასწავლებელთა შესარჩევად და საკონკურსო კომისიის ოქმებიდან ჩანს, რომ შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლები, მაგრამ 3 საგანში (გერმანული ენა, მუსიკა და ისტორია) ვერ შეირჩა შესაბამისი სტატუსის მქონე კადრი, ამიტომ კონკურსის შედეგად 3 მასწავლებელთან ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების მუხლი 13 შესაბამისად, რომლის თანახმად, პირმა, მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში, უნდა ჩააბაროს საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. 2 საგნის (ბიოლოგია და ხელოვნება) მასწავლებლის შესარჩევად, კი სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია მიმდინარე პერიოდში. ბიოლოგიის და ხელოვნების მასწავლებლებად ამჟამად მუშაობენ შესაბამისი სპეციალობის მასწავლებლები კონკურსის დასრულებამდე. სკოლის დირექტორის ბრძანებიდან N2-21, 07.10.2022წ. ირკვევა, რომ ბიოლოგიის მასწავლებელი გათავისუფლდა საკუთარი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განცხადების საფუძველზე და მის ნაცვლად, დროებით მიღებულია სხვა ბიოლოგიის მასწავლებელი კონკურსის დასრულებამდე, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.<br>სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი, პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადების და კომისიის მუშაობის წესი, რომლის მიხედვითაც წარიმართა აღნიშნულ მასწავლებელთა შერჩევის პროცედურები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• eSchool-ის ბაზაში ასახული მონაცემები;<br>• მასწავლებლის შერჩევის, კონკურსის გამოცხადებისა და კომისიის მუშაობის წესი;<br>• მასწავლებელთა ხელშეკრულებები;<br>• მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის კომისიის ოქმები;<br>• ვაკანსიის განცხადებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის მე-3 თავში გაწერილია შრომითი ურთიერთობის წესები და ასახულია, რომ სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის გზით, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესთან“.<br>სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისა და შერჩევის წესი, პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული.<br>მასწავლებელთა შერჩევის პროცესი ასახულია შესაბამის ოქმებშიც.<br>სკოლის შინაგანაწესის მე-8 თავში წარმოდგენილია სკოლაში დასაქმებულთა წახალისების ფორმები და დისციპლინური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პასუხისმგებლობა. შინაგანაწესის მუხლები კანონმდებლობის შესაბამისია.<br>სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ყველასთვის ნაცნობია შინაგანაწესში ასახული ინფორმაცია და ახალ თანამშრომლებთან ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის მექანიზმები, რაც ეხმარება ახალ კადრებს ეფექტურ საქმიანობაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისა და შერჩევის წესი.<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• თანამშრომელთა შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმები;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის" ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებები გაფორმებულია 1 წლიანი ვადით. ხელშეკრულებებში მითითებულია მასწავლებელთა სტატუსები და ამ სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები. ასევე, სხვა პერსონალთან - შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ყველა ხელშეკრულება დანომრილია და გატარებულია რეგისტრაციის ჟურნალში საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. ხელშეკრულებებთან ერთად, სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეები წარმოდგენილია ყველა საჭირო დოკუმენტი (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, პირადობის დამადასტურებელი და ნასამართლეობის ცნობები და სხვა.). თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ ხელშეკრულების პირობებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი<br>• სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები<br>• ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც შექმნილია სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მასში შესულია 5 წევრი: ხარისხის მართვის მენეჯერი და კათედრის ხელმძღვანელები.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და მართვის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით .<br>ასევე, სკოლას აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება - პედაგოგიურ საბჭოზე განხილული და დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით.<br>სკოლის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მექანიზმები ასახულია სკოლის განვითარების 1 წლიან სამოქმედო გეგმასა და სკოლის განვითარების ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში.<br>სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დებულება;<br>• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;<br>• სკოლის განვითარების 1 წლიანი სამოქმედო გეგმა და სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მიმართ თანასწორი მოპყრობა. მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესის გარდა, პროექტების, კონფერენციების, გასვლითი, შემეცნებითი, სპორტული, სახელოვნებო და სხვა ღონისძიებების განხორციელებით ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობის და თანასწორობის დამკვიდრებას. სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას, მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას და სხვა. სკოლის შესასვლელიდანვე ჩანს სასიამოვნო და უსაფრთხო გარემო, სკოლაში მოსწავლეები შედიან სპეციალური ბარათებით, რომელთა ელექტრონული აღრიცხვის შედეგი პირდაპირ აისახება სასკოლო ჟურნალში და ეცნობება მშობელს. სკოლის დერეფნების და საკლასო ოთახების კედლებზე მრავლად არის წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები და სხვადასხვა პლაკატები. სკოლაში არის მოსასვენებელი სივრცეები მოსწავლეთათვის, თანამედროვე, მყუდრო ბიბლიოთეკა, ძალიან ლამაზად მოწყობილი მუსიკალური ოთახი და სხვა. სკოლის ეზოშიც დაცულობის და სასიამოვნო აურაა, ეზოში არის სპორტული მოედანი და ორიგინალური ამფითეატრი გარე ღონისძიებებისთვის. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათი ინიციატივები ყოველთვის მხარდაჭერილია სკოლის მხრიდან.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება, სადაც გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები, შემუშავებული და დამტკიცებული აქვთ ვიდეოთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი, სკოლის ექიმის დებულება, შემუშავებული და დამტკიცებული აქვთ სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლას აქვს სასკოლო პროცესების მარეგულირებელი დებულებები: სასკოლო ექსკურსიების განხორციელების წესი, თამბაქოს აკრძალვის წესი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგანგებო სიტუაციების საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი და სხვა.<br>სკოლაში უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესება პრიორიტეტულია სკოლის ერთწლიან და ექვსწლიან გეგმებშიც. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;<br>• სასწავლო პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები<br>• სკოლის განვითარების 1 წლიანი სამოქმედო გეგმა და სკოლის განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა.<br>• ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 1049 (ათასორმოცდაცხრა) გვერდი.

............................ ......................

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი: 15.11.2022წ.
გვერდების რაოდენობა 44 (ორმოცდაოთხი) გვერდი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.